სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლია ბეჟაშვილის საქმიანობის წლიური ანგარიში 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრამდე

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ საკრებულოს დეპუტატი. ასევე, ვარ კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა - დასწრება 16.

ჩატარდა, კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის 8 სხდომა - დასწრება - 6.

კომისია მუშაობს 9 წევრის შემადგენლობით, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. ,,ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის“ დირექტორის შოთა ბეგიაშვილის 2023 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შედეგი;

2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

4. ,,ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოების დირექტორის ქეთევან ნადირაშვილის 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

5. ,,ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

6. ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

7. ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ნათელა ნადიკაშვილის 2023 წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასება;

8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

9. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის თ. ბეგიაშვილის 2023-2024 სააღმზრდელო წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

10. სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთვნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;

11. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2024-2025 სააღმზრდელო წლისთვის მზადყოფნის შესახებ;

12. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანების დირექტორის ლალი ფოლადაშვილის 2023-2024 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

მეორე მიმართულება

ვმუშაობ ასევე გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოსთან ერთად.

შევხვდი ინდივიდუალურად მოსახლეობას, ძირითადად - სოციალურად დაუცველებს, შევეცადე მაქსიმალურად აღმომეჩინა მათთვის დახმარება, სოციალურ კომისიასთან ერთად.

აქტიურად ვთანამშრომლობ საქართველოს წითელი ჯვრის სიღნაღის ფილიალთან, ერთობლივად ვეხმარებით სოციალურად დაუცველსა და შშმ პირებს სასურსათო ამანათებითა და ჰიგიენური საფენებით.

ხშირად დავდივარ და თვალყურს ვადევნებ მესამე საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებს. ეს პროექტი მიმდინარეა და 452010 ლარი უჯდება მუნიციპალიტეტს.

ქ.წნორში ეწყობა ახალი გარე განათება, ეს პროექტიც მიმდინარეა და ჯდება - 51299 ლარი.

ქ. წნორში სიხაშვილის ქუჩაზე დასრულდა სანიაღვრე სისტემის მოწყობა (პროექტის ღირებულება - 27112ლარი), ინაშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები კვლავ მიმდინარეა.

უნივერსიტეტის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეა.

დასრულდა სპორტ-კომპლექსი, წნორის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეა.

პერიოდულად მაქვს შეხვედრები მოსახლეობასთან. ვეხმარები მათ პრობლემების მოგვარებაში მერიის სამსახურთან ერთად.

ლია ბეჟაშვილი